დამტკიცებულია
საქართველოს მოსამართლეთა X X რიგგარეშე კონფერენციის
2017 წლის 8 აპრილის №3 დადგენილებით

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
რეგლამენტი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.
ეს რეგლამენტი განსაზღვრავს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის (შემდგომში – კონფერენცია) საქმიანობის ძირითად პრინციპებს, უფლებამოსილებებს, აგრეთვე კონფერენციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2.
კონფერენცია არის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, რომელიც შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებისაგან.

მუხლი 3.
კონფერენცია იცავს და განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ხელს უწყობს სასამართლოებისადმი ხალხის ნდობისა და რწმენის განმტკიცებას, მოსამართლეთა ავტორიტეტის ამაღლებას.

მუხლი 4.
1. კონფერენცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით.
2. კონფერენციის ქარტიას და რეგლამენტს, რომლებიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კონფერენცია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 5.
კონფერენცია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონიერების, კოლეგიურობის, საქვეყნოობის, სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული სხვა პრინციპების საფუძველზე.

თავი II. კონფერენციის უფლებამოსილებანი

მუხლი 6.
1. კონფერენცია:
ა) მის სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით ირჩევს:
ა.ა) ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებს;
ა.ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საბჭოს სხვა წევრებს;
ა.გ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრებს.
ბ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიასა და რეგლამენტს;

გ) ისმენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც - დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ; *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ.)*

დ) ახორციელებს კანონით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ე) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს;

ვ) დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით ირჩევს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წარდგინებით ამტკიცებს სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესს; *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

თ) განსაზღვრავს სადისციპლინო კოლეგიაში საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობას;

ი) უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართოს წინადადებით დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.*(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

2. კონფერენცია, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ირჩევს კონფერენციის ხმის დამთვლელ კომისიას 5 მოსამართლე წევრის შემადგენლობით, რომელიც თავის წევრთაგან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. ხმის დამთვლელი კომისია ხელმძღვანელობს და თვალყურს ადევნებს კენჭისყრის პროცესს და ითვლის კენჭისყრის შედეგებს. *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

3. ადმინისტრაციული კომიტეტის არჩეული წევრებისგან აირჩევა ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩეული წევრებისგან აირჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არჩევნების ჩატარების დროს კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს.

6. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

7. სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს მოსამართლე, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი.

8. კონფერენცია ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ მოსამართლე წევრის თანამდებობაზე, რომელსაც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქვს უფლება, საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, და ცალკე უყრის კენჭს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს იმ მოსამართლე წევრის თანამდებობაზე,

რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე აღნიშნული თანამდებობა. *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

9. თუ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო ასარჩევ რაოდენობაზე მეტმა კანდიდატმა, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. 2 ან მეტი კანდიდატის მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი (მე-2 ტური). არჩეულად ჩაითვლება მათგან საუკეთესო შედეგის მქონე ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 1/4-ს.

10. თუ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხმათა საჭირო რაოდენობა მიიღო ასარჩევ რაოდენობაზე ნაკლებმა კანდიდატმა, იმ კანდიდატებს, რომელთაც ვერ მიიღეს ხმათა საჭირო რაოდენობა, ხელახლა ეყრებათ კენჭი (მე-2 ტური). არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. ამასთანავე, კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები.

11. თუ იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც აქვს უფლება, შეითავსოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არჩევის მსურველთა რაოდენობა ასარჩევ პირთა რაოდენობაზე ნაკლებია, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ასარჩევ პირთა რაოდენობაზე ნაკლებმა პირმა მიიღო, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არ უკავია სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. თუ ხელახალი კენჭისყრის (მე-2 ტური) შედეგად ზემოაღნიშნული წევრის თანამდებობაზე დარჩა ვაკანტური ადგილი (ადგილები), ტარდება ხელახალი არჩევნები (პირველი და მე-2 ტური) იმ მოსამართლეებს შორის, რომელთაც არ უკავიათ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და დასახელებულნი იქნებიან კანდიდატად.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)
(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ.)

მუხლი 7.

1. კონფერენცია თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს მიმართვებისა და დადგენილებების სახით.

2. კონფერენციის გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების სისტემის ადმინისტრირების საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად.

3. კონფერენციის სახელით, კონფერენციის მიმართვებსა და დადგენილებებს ხელს აწერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე. *(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)*

თავი III. კონფერენციის მუშაობის წესი

მუხლი 8.

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ.
2. რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა ადმინისტრაციული კომიტეტის ინიციატივით ან საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა 1/5-ის წერილობითი მოთხოვნით.
3. რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა სავალდებულოა, როდესაც კანონის შესაბამისად არჩეული უნდა იქნეს (იქნენ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი (წევრები), საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრი (წევრები), ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი (წევრები). საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რიგგარეშე სხდომა იმართება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.
4. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომის დღის წესრიგი ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე, სხდომამდე არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა.
5. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომა ღიაა. მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ნახევარზე მეტი. კონფერენციის გახსნის წინ ტარდება მოსამართლეთა რეგისტრაცია.
6. ამ რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
7. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის (რიგგარეშე კონფერენციის) სხდომის დღის წესრიგს ადგენს ადმინისტრაციული კომიტეტი.
8. თუ შეუძლებელია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის დასრულება იმავე დღეს, მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით კონფერენცია გადაიდება და დადგინდება ახალი სხდომის ჩატარების თარიღი.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 9.

კონფერენციის სხდომას უძღვება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 10.

(ამოღებულია)

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

თავი IV. კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი და მისი უფლებამოსილებანი

მუხლი 11.

კონფერენცია საქართველოს კანონმდებლობით, კონფერენციის ქარტიითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ქმნის კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს (შემდგომში - ადმინისტრაციული კომიტეტი).

მუხლი 12.

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი შედგება 9 წევრისაგან.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას და კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია 3 წლის ვადით.

3. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 13.

(ამოღებულია)

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის #1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 14.

ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს აქტები საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე, აქტები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას. *(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)*

მუხლი 15.

(ამოღებულია)

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის #1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 16.

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრები დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 17.

ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ადგილია საქართველოს უზენაესი სასამართლო ან მისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილსამყოფელი.

მუხლი 18.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მოსამართლეობის უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ) უფლებამოსილების ვადის გასვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტით დადგენილი შეზღუდვების არსებობა;

ვ) კომიტეტის სხდომაზე ზედიზედ 4-ჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილება ჩერდება საქმის განხილვისა და სხვა თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან მოსამართლის ჩამოცილების შემთხვევაში.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 19.

1. მე-18 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების შემთხვევაში, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის საკუთარი სურვილით შეწყვეტის შემთხვევაში წერილობითი განცხადება წარედგინება ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეს.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ საკითხს ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე აცნობს ადმინისტრაციულ კომიტეტს. კომიტეტის წევრს უფლებამოსილება უწყდება ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 20.

(ამოღებულია)

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის #1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 21.

(ამოღებულია)

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის #1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 22.

1. ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით ან ადმინისტრაციული კომიტეტის საერთო რაოდენობის 2/3-ის მოთხოვნით.

2. ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომებს თავმჯდომარეობს ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

3. სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ოქმის შემდგენი პირი.

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 23.

1. ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია, განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება ადმინისტრაციული კომიტეტის წევრთა 2/3. საკითხს კენჭისყრაზე აყენებს სხდომის თავმჯდომარე.*(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)*

2. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას კომიტეტის წევრმა არ შეიძლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

3. გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერს ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი. *(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)*

4. გადაწყვეტილება, რომელიც მოსამართლეთა კონფერენციას დასამტკიცებლად არ წარედგინება, მიიღება დადგენილების სახით.

5. კომიტეტის წევრს უფლება აქვს წერილობითი ფორმით წარადგინოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 24.

1. დღის წესრიგის საკითხებს ადმინისტრაციულ კომიტეტს აცნობს კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარე. *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*

2. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კამათში და გამოთქვას მოსაზრება დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

3. ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებით, განსაზღვრულ საკითხთა შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების მომზადებისათვის, კომიტეტის სხდომაზე ხმის უფლების გარეშე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები.

თავი V. კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნო

მუხლი 25.

1. კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმიანობის ორგანიზების მიზნებით კონფერენციასთან და ადმინისტრაციულ კომიტეტთან იქმნება სამდივნო.

2. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს ადმინისტრაციული კომიტეტი.

მუხლი 26.

სამდივნო:

ა) ამზადებს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომებს, უზრუნველყოფს სხდომათა ტექნიკურ მომსახურებას, ასრულებს ხმის დამთვლელი კომისიის დავალებებს; *(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)*

ბ) ადმინისტრაციულ კომიტეტთან შეთანხმებით წყვეტს სხდომათა მოწვევასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, საფინანსო და სხვა საკითხებს;

გ) ასრულებს კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ცალკეულ დავალებებს, ორგანიზაციას უწევს სამეცნიერო-კვლევითსა და საინფორმაციო-საცნობარო და სხვა მასალების მომზადებას;

ე) ამზადებს და სხდომათა შორის პერიოდში მოსამართლეებს, ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებს აწვდის აუცილებელ საინფორმაციო მასალებს;

ვ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის საქმისწარმოებას - სხდომათა ოქმების წარმოებას, დოკუმენტების აღრიცხვას, დანიშნულებისამებრ გადაცემას, შენახვას და სხვა;

ზ) უზრუნველყოფს კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებების მოსამართლეთათვის გაცნობას.

თავი V[1]. კენჭისყრის წესი

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 26[1].

1. ამ რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში - ღია კენჭისყრით.

2. ფარული კენჭისყრა ტარდება საარჩევნო ბიულეტენებით, ხოლო ღია კენჭისყრა - ხელის აწევით.

3. ადმინისტრაციული კომიტეტი ამტკიცებს თითოეული კენჭისყრისათვის ერთგვაროვანი საარჩევნო ბიულეტენის ფორმას, რომელიც ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს მხოლოდ ფერით.
4. ხელახალი კენჭისყრის ჩატარების დროს გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

მუხლი 26[2].
1. კონფერენციაზე დამსწრე თითოეული მოსამართლე ხმას აძლევს პირადად. დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
2. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას მოსამართლე შემოხაზავს მისთვის სასურველი კანდიდატის (კანდიდატების) რიგით ნომერს.
3. დაუშვებელია ბიულეტენის შევსებისას ასარჩევ რაოდენობაზე მეტი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვა, ასეთ შემთხვევაში ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად.
4. კენჭისყრის შედეგებს კონფერენციას აცნობებს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.
5. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება კონფერენციის ჩატარების ადგილზე იმ რაოდენობით, რამდენმა მოსამართლემაც გაიარა რეგისტრაცია. შესაბამისი ოდენობის ბიულეტენს იბარებს ხმის დამთვლელი კომისია, რაზეც დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
6. თუ რომელიმე მოსამართლე არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას, შესაბამისად, დარჩენილი ბიულეტენი განადგურება და დაფიქსირდება ოქმში.
7. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია საარჩევნო კაბინაში სხვა პირის დასწრება.

მუხლი 26[3].
ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:
ა) მოსამართლე მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო, მოსამართლე ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას სათანადო გრაფაში. საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას რეგისტრატორი ხელს აწერს ბიულეტენის სათანადო გრაფაში;
ბ) საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ მოსამართლე შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში, შემოხაზავს მისთვის სასურველი კანდიდატის (კანდიდატების) რიგით ნომერს და შევსებულ ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ყუთში;
გ) თუ მოსამართლეს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მან ეს უნდა აცნობოს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი და მიიღოს ახალი. ყოველ ამგვარ შემთხვევაში უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3-თან ერთად ხელს აწერს მოსამართლეც;
დ) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი მოსამართლე ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება;
ე) საარჩევნო ყუთთან მუდმივად მყოფი ხმის დამთვლელი კომისიის წევრი ზედამხედველობას უწევს საარჩევნო ყუთს. იგი მოსამართლეს ნებას რთავს ბიულეტენი ყუთში ჩააგდოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში ერთი ბიულეტენი აქვს;
ვ) კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთის ბიულეტენის ჩასაგდები სპეციალური ჭრილი ილუქება წებოვანი ლუქით.

მუხლი 26[4].
1. ხმის დამთვლელი კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:
ა) კომისიის ერთ-ერთი წევრი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს ხმის მიცემის შედეგს და ბიულეტენს გასაცნობად გადასცემს კომისიის სხვა წევრებს;
ბ) ცალკე თავსდება კომისიის წევრების მიერ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები.

2. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერით;
ბ) შეუძლებელია ხმის მიცემის შედეგის დადგენა;
გ) შემოხაზულია ასარჩევ რაოდენობაზე მეტი კანდიდატი.
3. ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები იკვრება პაკეტად, ილუქება, რომელსაც ხელს აწერენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრები და კომისიის თავმჯდომარე და მათ რაოდენობას მდივანი აღნიშნავს ოქმში.
4. ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება არჩევნებში მონაწილე კანდიდატთათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე აცხადებს შედეგებს.
5. ხმის მიცემის შედეგები აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.
6. არჩევნების დასრულების შემდეგ ბიულეტენები ინახება მოსამართლეთა კონფერენციისა და ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოში.

თავი V². საჯაროობა მოსამართლეთა კონფერენციის ჩატარებისას

(საქართველოს მოსამართლეთა X (რიგგარეშე) კონფერენციის №1 დადგენილებით, 09.06.2013 წ.)

მუხლი 26⁵.
1. მოსამართლეთა კონფერენცია ღიაა.
2. დაინტერესებულმა პირებმა კონფერენციის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მაინც უნდა გაიარონ აკრედიტაცია ადმინისტრაციული კომიტეტის სამდივნოში. *(საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენციის №3 დადგენილებით, 08.04.2017 წ..)*
3. დაინტერესებული პირები კონფერენციაზე დაიკავებენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებს.

თავი VI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 27.
ამ რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ რეგლამენტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.